კროს
# ფანტაზია
ფასი 40 თეთრი
№ 12(20)
21 სექტემბერი, 1996 წ.

## ნოსტალგია



ამ კროსვორდს ნოსტალგია, იცით, რატომ ვუწოდეთ? — იმიტომ, რომ პირველად სწორედ ასეთი ოთხმხრივ სიმეტრიული (19 X 19 უჯრაზე) კროსვორდები გამოვაქვეყნეთ ქართულ პრესაში. სხვათა შორის, 2 წლის განმავლობაში 26 ქართულ გაზეთში 200 კროსვორდი დავბეჭდეთ და სწორედ ესაა ნოსტალგია — წარსულის მონატრება (ქართული პრესის "ქურუმების" გაცნობის ხანა!).

**თარაზულად:** 4. ხელსაქმის სახეობა; 10. პიეროს სატრფო; 11. ნაკლი; 12. რუსული ესტრადის ვარსკვლავი; 13. იგივეა, რაც აბრა; 15. უდაბნო ჩილეში; 16. ვარსკვლავთმრიცხველი; 17. ცნობილი (ე.წ. "ტეკი" საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე; 19. მინდვრის ფრინველი; 20. სახელი რომ არ იციან, რით ცვლიან მას იმერეთში? 22. სოფელი ოჩამჩირის რ-ნში; 25. რუსეთის საავტომობილო-სამოტოციკლო წარმოების ცენტრი; 28. იტალიის საავტომობილო წარმოების ცენტრი) 29. საჭმლის შესაკაზმი ბალახი; 30. ძველბერძნული მითოლოგიის მფრინავი ცხენი; 31. უეცარი და ტოტალური შეტევა; 32. აბუ ალი იბნ სინას ევროპულ ენებში გავრცელებული სახელი; 35. ევროპელი ჯუჯა; 36. დონ ჟუანის ქართული ვარიანტი; 39. ქვემეხით სასროლი საბრძოლო მასალა; 42. ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობა; 43. რისამე მტკიცების საფუძველი; 45. მიკროსკოპით დასანახი უმარტივესი ორგანიზმი; 46. სახელმწიფოს ფორმა; 47. მდინარე ქართლში; 48. რა იყო რწყილი ჭიანჭველასთვის? 49. საეკლესიო "პოდიუმი"; 50. რუსეთის ავიაკომპანია (თბილისში რომ მოფრინავს).

**შვეულად:** 1. ვინ გადარია სიყვარულმა, ერთი გიჟი გურულის სიმღერის თანახმად? 2. საქართველოს მხარე; 3. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. იაპონიის ქალაქი, ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი; 6. სურნელოვანი კულინარული საკმაზი; 7. "მერი პოპინსის" პერსონაჟი ბიჭი; 8. პუშკინის მოთხრობათა სერიალის პერსონაჟი; 9. იგივეა რაც ხალისი; 14. თბილისის ერთ-ერთი მეტროპოლიტენის სადგური. 15. ელდარ შენგელაიას მთ. პერსონაჟი. 18. ნორვეგიელი მოგზაური, პოლარეთის მკვლევარი; 19. ენის შემსწავლელი მეცნიერება; 21. რუსული ენის ერთ-ერთი განმარტებითი ლექსიკონის ავტორი; 22. თაიგულის შეკონვის იაპონური ხელოვნება; 23. რუსეთის ტრამალი; 24. რომის ან კონიაკის და ტკბილი ცხელი წყლის ნაზავი; 26. ამირანის ერთ-ერთი ძმა; 27. (ბატონი) უიშვილი მოთხრობიდან; 32. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 33. ერთ-ერთი ქართველი კურაპალატი; 34. მიმდინარეობა ევროპულ ფერწერაში მე-20 ს. დასაწყისში; 35. სამთო-საგზაო ნაგებობა; 37. ფუნქციონალური ნერვულ-ფსიქიური დაავადება; 38. როგორია "ხელოვანის გზა"? 40. რუსეთის საოლქო ცენტრი; 41. შოტლანდიელი პოეტი; 43. ბოროტების პირველი მსხვერპლი; 44. მუსლიმანთა რელიგიური წინამძღვარი.

### "ველური გული"
### (რიგგარეშე სერია)

მოცემულ (ენა არ გვიბრუნდება, კროსვორდი ვუწოდოთ, მაგრამ, მაინც) "კროსვორდში" შვეულად ჩამორაკრაკებულ "იდუმალ" ფრაზას 16 თარაზული "ნახუანარი" (ე.ი. ხუანის მიმართ თქმული) სიტყვა კვეთს; კითხვებსაც აქვე გთავაზობთ:

1) ოსი ქალი, რომელიც (ფილმში) ჯამბულატის სიყვარულმა ისე გადარია, გეგონება, მისი გადამრეველი ხუანს სჯობდა (სენი წირიმე!); 2) ამ მარადმწვანე საკვებნაყოფიანი ბუჩქის სახელი ხუანის მშობლიური ენიდან გავრცელდა. რა ბუჩქია ეს?; 3) მე-18 ს. საქართველოში იყო ერთი კათალიკოსი (რა ერქვა?), რომელსაც ახლა რომ ეცხოვრა, "ხუანიადის" ყურებას კი აგვიკრძალავდა, მარა... ვინ დაუჯერებდა?; 4) სიკვდილისწინა მდგომარეობას რა ჰქვია? (აგრემც მალე დასდგომიათ ხუანის მტრებს!).; 5) რა ჰქვია "ნინოს" ქუთაისლების ენაზე? (შეადარეთ — ჭიჭიკია-ბიჭიკიას)... ხუანიკია ცუდად ჟღერს!; 6) მე-12 ს-ის ქართველი "მონიკა" (თუ ხუანს ტარიელად მოვნათლავთ)?

7) "ანდრესი კაცი კი არა, ჩვარია!" (გაიხსენეთ სიტყვა "ჩვარი" რუსულ ენაზე და ჩაწერეთ). ; 8) აი, შექსპირის პერსონაჟებს, იტალიელ "ხუანსა და მონიკას", კი ერთი უზნეო ყმაწვილი უმწარებდა სიყვარულს... რა ერქვა მას (პიესაში)?; 9) როგორი ქალი იყო აიმე (ჰაიმე)? (გაიხსენეთ მატყუარას სინონიმი).; 10) ეს ნარკოტიკი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მასში სიტყვა "ხუან" გვხვდება... (თავკიდური "მ" მოაშორეთ ამ ნარკოტიკს და ისე ჩაწერეთ მე-10 ჰორიზონტალზე).; 11) ამბობენ, რომ აფრიკის ეს ველური ტომებიც უყურებენ "ველურ გულს" და ტკბებიან ამ "ველურობით".; 12) უცებ წარმოიდგინეთ, რომ ხუანი "ბორჯომის ვაგზლის" კიბეებზე დაეშვა და ბაზრობისაკენ წავიდა! რა ვითარება შეიქმნება "ქუჩაში უკანონოდ მოვაჭრეთა" შორის? ანუ: ერთიერთმანეთზე დაყრილი საგნები (და სხეულები) რა არის?; 13) შინაური ფრინველები, რომელთა დაბინავება ავიწყდებათ ქალებს, როცა თავის "ხუანებზე" ფიქრობენ...; 14) "ველური გულის" ერთ-ერთი (მექსიკელი) შემქმნელის სახელი და გვარი (ფილმის ტიტრებში წერია).; 15) ესპანურენოვანი ქვეყანა, სადაც აკაკი ხიდაშელისა და მარი ჯანაშიას გარეშე უგებენ ჩვენს "მიჯნურებს".; 16) ცხოვრების სადაური წესის დაკანონებას ცდილობენ ჩვენში?

(თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მას "ცხოვრების მექსიკურმა წესმა" აჯობოს).

**... ბოდიშს გიხდით, თუ ამ "ნამეტნავი ფანტაზიით" გაგალიზიანეთ, ან თავი შეგაწყინეთ!**

### N19-ის პასუხები

(1-ლი გვ.) თარაზულად: 7. ყომრალი; 8. კრილოვი; 9. ტრამვაი; 11. მცხეთა; 12. ფაუსტი; 13. ინდაური; 16. ფროლო; 18. კორეა; 20. სფინქსი; 21. უსტარი; 22. ყურანი; 26. ტირანია; 27. ურმია; 28. სინდი; 29. პინოქიო; 31. მანტია; 33. დალილა; 35. მურილიო; 36. გესტაპო; 37. კირთაძე.

შვეულად: 1. კონცერნი; 2. ორდე; 3. ალტაი; 4. ტვიფრი; 5. ალჩუ; 6. ცვეტაევა; 10. მჟაუნა; 14. ნეფერტიტი; 15. რასპუტინი; 17. ლაფსუსი; 19. ომონიმი; 23. ბარმალეი; 24. ბალონი; 25. უნდილაძე; 29. პამპა; 30. ოდოია; 32. ტიტა; 34. ლოთი.

(4 X ფანტაზია) 1. ფატა, ნაფაზი, ანტი, ტიფი, ტანი, ზანტი, ტიტანი, ფანტი, 2. ფია, ნატიფი, ინფანტი, ტინი, ტანინი, ზიანი, ტიტინი, ფაზა. 3. ფანტა, ფაფა, ფანატი, ანტანტა; აზატი, აზიზი, იაფი, ტაფა. 4. იფანი, ფიატი, ფინტი, ტიტა, ინა, აზია, ფინია, ნაზი.

(სავარჯიშოები) "A": სტალინი — სტალონე, ანისული — ენისელი, ლორნეტი — კორნეტი. "B": ამბიონი, არარატი, მიკრობი, ალუბალი, იმერელი, ანატოლი. "C": ა) ზვერევა, ბ) პასტორი, გ) ნაკრავი, დ) კრილოვი, ე) ტრიპოლი, ვ) სტოპერი.

(მე-2 გვ.) 1. Опекун; 2. Ежевика; 3. Уведомление; 4. Береста; 5-16. Зло; 6. Едок; 7. Дунуть; 8. Назойливый; 9. Опекун; 10. Обзаведение — Льгота; 11. Ель; 12. Дуга; 13. Легкомыслие; 14. Кремень; 15. Сон — сваха; 17. Единоборство; 18. Тайга; 19. Нянчить; 20. Ракетка; 21. Канава; 22. Погреб; 23. Анархия; 24. Рюкзак; 25. Пес; 26. Чабан; 27. Травма — Здесь; 28. Наконечник; 29. Ездок; 30. Регбист; 31. Все; 32. Кустарник; 33. Брань

### ანონსი
### (უახლოეს ნომრებში)

1) "ლოტო — ინკოგნიტო" — თამაში ერუდიტებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის).

2) "კროუფ(ვ)ორდი" — კროსვორდების სერიალი "მშვენიერი სქესის" შესახებ.

(გვიყურეთ... უკაცრავად — გვიკითხეთ ჩვენ!)



ფოტო გადმობეჭდილია
გაზეთ "სპიდ-ინფო"-დან



ამას წინათ მოსკოვში გამომავალი საკროსვორდო გაზეთი "Загадочная газета" გამოჩნდა ჩვენს თბილისში (რას არ ვიყიდიდით?); ბევრი ჩვენთვის (და თქვენთვისაც!) საინტერესო რამ აღმოვაჩინეთ იქ. ერთმა რამემ კი გაგვაოცა. და იცით რამ? იმან, რომ ყოველ კროსვორდს რაღაც ასეთი სათაური აქვს: **Черные мысли уйдут без следа**", "**Зажглись и погасли усталые свечи**", "**Разными дорогами мы пойдем до осени**" და ა.შ. ჩვენს მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ 200 კროსვორდს გეფიცებით (იხილეთ "ნოსტალგია") რომ ვერაფრით დავადგინეთ, თუ "ერეკლე" სად იყო აქ და ის, ჩვენ (და თქვენც!) რომ ვიცით, სად?! მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ 200 წლის ინერციით, 200 კროსვორდის გამომქვეყნებელმა ხალხმა, გადავწყვიტეთ კვლავაც მივბაძოთ ამ ჩვენი (და თქვენიც!) "დიდი რუსეთისათვის" და ამ ორ ტყუპისცალს ასეთი სახელი მოვუგონეთ:

**Мы (и Вы) Дети соц. Страны!**

(მარცხენა ტყუპისცალი) **თარაზულად:** 6. თურქეთის საფეხბურთო გუნდი; 7. ნაღარი: "ტყუპისცალი" აკაკის ერთ ლექსში; 8. როგორი ქმედებაა წყლის ნაყვა? 9. ერთი თბილისური ბალის "პატრონი"; 10. პერსონაჟი, რომელიც ლამის სესილია თაყაიშვილის "ტყუპისცალად" იქცა კინოშიც და თეატრშიც; 12. ბუმქენის "ტყუპისცალი" ჭედურ ხელოვნებაში; 14. "დედა ენის" მეორე გაკვეთილი; 15. წყენისა და უთანხმოების ფუნქციონალური სინონიმი (სინონიმი კი აზრობრივი ტყუპისცალია).

**შვეულად:** 1. აშშ-ს შტატი, რომლის ცენტრი გახლავთ ქალაქი ბოსტონი; 2. ყაყაჩოს მსგავსი გოგონა ერთ საბავშვო ლექსში; 3. ზაქროს (ანტი)ტყუპისცალი ერთ ქართულ მულტფილმში; 4. ქართველი პოეტი, რომელსაც ბადალი (და ტყუპისცალი) არ ჰყავს; 5. ჯერ გთხოვთ მარჯვენა ტყუპისცალის შვეული N13 ამოიცნოთ და შემდეგ გვიპასუხოთ: რა იყო ის ფარატინა, რის გარეშეც სტუდენტი პოლონეთშიც კი ვერ წავიდოდა და რასაც "ის" (შვეული N13) ახალგაზრდული კავშირი იძლეოდა; 11. კითხვითი სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ბავშვს; 13. სამგლოვიარო-სატკივილო მორისდებულის სტილიზებული ვარიანტი; 14. ორმო, სადაც რაჭველებმა ლონდრე დამალეს (გოჭუნიასავით!);

(მარჯვენა ტყუპისცალი) **თარაზულად:** 6. (კიდევ ერთი) ფარატინა, რასაც იმ ახალგაზრდათა (შვ. N!3) "მამა-პაპანი" ავრცელებდნენ რუსეთის იმპერიაში არხეინად მოფუსფუსე ხალხთა შორის; 7. ქართული მოდალური ზმნა, რომელიც ყველაზე ხშირად გაისმის ყრილობებზე; 8. "ერეკლის" რაოდენობითი ტყუპისცალი; 9. ფრანგი მწერალი მამა-შვილის, რა თქმა უნდა, საერთო გვარი; 10. ზოგადი სახელი იმ "ქულთაი-ანქლ ბენსებისა", რასაც ლოტო "მაესტროში" უხვად არიგებენ (ღმერთმა ხელი მოუმართოთ!); 12. დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მოქმედი ვულკანი (პირდაპირი გაგებით!); 14. ქართული სპორტული კომენტატორობის (კვლავაც დიდებულად!) მოქმედი "ვულკანი" (მეტაფორული გაგებით); 15. ორთაჭალაში მდებარე სამართალდამცავი "ვულკანი" (თქვენს ნებაზე დაყრდნობილი გაგებით).

**შვეულად:** 1. ერთხელ ერთმა ჩემმა კოლეგა მასწავლებელმა, რომ უნდოდა ეთქვა "ტრანზიტული გზებიო", სიტყვა "ტრანზიტის" ნაცვლად მისი აკუსტიკური ტყუპისცალი მოიშველია... რომელი? 2. კ.ფ. "შეხვედრა წარსულთან" გახსოვთ? ვინ ეტაკა სიმინდებში მოზვერივით კომკავშირელ გოგონას? 3. კიდევ ერთი იტალიური "ვულკანი" გავიხსენოთ, — ამჯერად აღორძინების ეპოქის ლიტერატურისა; 4. ჰოდა, თუ თარაზული N14-ის სახელი ამოიცანით, მისი ამჟამინდელი მეუღლის მიერ განსახიერებული პერსონაჟიც გეცოდინებათ სპექტაკლში "ეზოში ავი ძაღლია"; 5. მუსიკალური ჰანგების შემაკავშირებელი სპეციალური დანადგარი; 11. სილვესტერ სტალონეს კინოფილმი (ანუ კ.ფ. მისი მონაწილეობით, რაღა!); 13. იმდენი გადაკრულ-გადმოკრული რამ ვთქვით ამ ყოფ. ახალგაზრდული კავშირის შესახებ, რომ... ჩაწერეთ, რაღა! 14. ეკვადორის დედაქალაქი.




"PETITE"
გთავაზობთ:
კომპიუტერებს,
მაკომპლექტებლებს, ძველი
კომპიუტერების შეკეთება-
განახლებას, პროგრამულ
უზრუნველყოფას.
ვაჟა-ფშაველას 29
(სამედიცინო ინსტიტუტთან
IV სტამბა, III სართული) ტელ:
დღისით 39-73-25 საღამოს 39-
60-74 34-82-22

# თბილისელი "ფანტაზიორები"

უხამსობაა მათს ყოფაში მყოფ ადამიანებს, და მით უმეტეს ბავშვებს, სატირითა და იუმორით, ან თუნდაც ღიმილით დაუპირისპირდე, მაგრამ ამგვარი ქმედება მაინც აღსასრულებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ისტორიის 90-იანი წლების სურათებს შემორჩეს ეს გასაოცარი ფენომენი, რასაც თბილისის "მეტროპოლიტენის მათხოვრები" ჰქვია.

შესაძლოა თქვათ: ამ "კროსვორდისტს" (მე-კროსვორდ-ეს) რა მემატიანეობის ჭია შეუჩნდაო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კროსვორდისტიც ადამიანია და მასაც გააჩნია რაღაც სიბრალულის, ამ შემთხვევაში კი (პარადოქსული!) დამცინავი სიბრალულის გრძნობა...

მაშ ასე:

წერილი პირველი — "თბილისელი მათხოვრები"

ნაწილი პირველი — "მეტროპოლიტენის მათხოვრები"

გამოსვლა პირველი — "ბავშვი მათხოვრები"

... ამ ბავშვებს ფულს ვაძლევ თუ არა და რა თანხას ვიმეტებ მათთვის, ეს სხვა, არაფრისმთქმელი საკითხია, მთავარი ისაა, რომ მე მათ უნებლიედ ვაკვირდები და ამ ბავშვების სიმრავლეში სამი კატეგორიის მათხოვრები მყავს შემჩნეული; ამგვარი კლასიფიკაციის პირველი (უნებლიე) "სურვილი" რომ გამიჩნდა, მაშინვე გავკიცხე საკუთარი თავი, მაგრამ ყოველდღე სხვადასხვა ბავშვებს რომ ვხედავდი და ვხედავ მეტროპოლიტენის ვაგონებში და რომ ვამჩნევდი, რომ ისინი სამი ძირითადი პრინციპით მოქმედებდნენ, დავრწმუნდი, რომ ამ პატარა "პროფესიონალებს" რაღაც ორგანიზებული "ინსტანცია" მართავდა, თავისი მკვეთრად გამოხატული სტილითა და სამსახურეობრივი დისციპლინით. აი, ინებეთ ერთი ასეთი მაგალითი:

ვაგონში შემოვიდა 7-8 წლის გოგონა, მოძებნა ადგილი, სადაც ყველაზე კარგად გამოჩნდებოდა და დასჭექა: "ბიძიებო-დეიდებო, დამე-ე-ე-ხმარეთ! თქვენ გეიხარეთ თქვენ შვილებში!" და დაიწყო ჩამოვლა. ეს "თქვენ გეიხარეთ" იმდენად აქცენტირებულად წარმოთქვა, რომ სმენაში ჩამეჭედა და კარგად ხანს იწრიალა ჩემს აკუსტიკურ სამყაროში და, როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან ორიოდე დღეში იგივე ფრაზა სხვა, 9-10 წლის ბავშვისგან მოვისმინე, რომელიც იმავე დიალექტიზირებული "გე-" ზმნისწინით ლოცავდა ჩვენს შვილებს... მერე-და რა მოხდა? ორივე ბავშვი, როგორც ჩანს, დასავლეთიდან იყოო წარმოშობით, იტყვის ვინმე... კი ბატონო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენიანი დასავლეული არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა "ბიდზიებო-ბიდზიებოს" და აშკარა იყო, რომ ეს მეორე სლავური წარმოშობის ბავშვი გახლდათ; ასე რომ, კვლევის ინდუქტიური მეთოდის თანახმად, ამ ორ ბავშვს ერთი საერთო მასწავლებელი ჰყავთ, რომლის პიროვნების დადგენა და მოძიება ჩვენს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს.

მეორე შემთხვევა: თავისუფლების მოედანზე, გვიან სალამოს მატარებელმა დაიგვიანა და მე ისღა დამრჩენოდა, რომ ორი რუსი გოგონას კინკლაობის სცენისათვის მედევნებინა თვალი. ისინი, როგორც ყველა ბავშვს სჩვევია, რაღაც "არაფერზე" კამათობდნენ, მაგრამ ჩემს სმენას (დასწყევლოს ღმერთმა!) ისევ ჩაეჭედა მათი დიალოგის ერთი მონაკვეთი:

— Ты на "ментов" работаешь!

— А ты воровская утка!

ვერ გეტყვით, რომელი მათგანი იყო მართალი ამ არგუმენტების "დახვავებისას", მაგრამ რაწამს მატარებელი გამოჩნდა, შევნიშნე, რომ ისინი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ და სადღაც "300 არაგველზე" ორივე მათგანი ხელგაშვერილი, თავდახრილი და მდუმარე, ჩემს ვაგონში აღმოჩნდა, თუმცა მათ შეხმატკბილებულ კოლეგებივით აუარეს ერთმანეთს გვერდი და საპირისპირო ვაგონებისაკენ გაეშურნენ, მე კი ეს ფიქრი დამიტოვეს:

— ნუთუ მართლა მუშაობენ ისინი "ვინმეზე"?!

... ამ ბოლო ხანებში კი სხვაგვარად "განსწავლული" ბავშვები გამოჩნდნენ ჩვენს მიწისქვეშეთში და ერთი თეირანული სცენა გამახსენეს, რომლის მთავარი პერსონაჟი თავად გახლდით:

ირანის დედაქალაქში არის ერთი "ბერლან ბაზარი", რომელიც მოსკოვურ გუმ-ცუმ-პასაჟებს წააგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თეირანში უფრო დიდი სივრცე და ფართობი უკავია ამ "სავაჭრო ბაბილონს". იქ, რა თქმა უნდა, არც მათხოვარი ბავშვების ნაკლებობა იგრძნობა, რომელთაც მეტროპოლიტენის არარსებობისა გამო, "კლიენტების" დაჭერა "მზისქვეშეთში" უხდებათ.

ჰოდა, ვდგავარ ამ "ბერლან ბაზარის" შუაგულში და ვფიქრობ რაღაც-რაღაცეებს. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც მექაჩება მკლავზე და, ირანის მკაცრი პოლიციური მეთვალყურეობის კვალობაზე, გული შემიქანდა, მაგრამ უმალ დავწყნარდი, რადგან ჩემი შემშინებელი პატარა ბიჭი აღმოჩნდა, რომელიც რაწამს მიხვდა (გუმანით, ალბათ), რომ უცხოელი გახლდით, ქაჩვას მოეშვა და მკლავზე მომეხუტა რაღაც გაუგებარი "კვნესების" ფრქვევით. რაღას ვიზამდი?! — მივეცი იქაური თუმნები და გავეშურე გასასვლელისკენ, მაგრამ ვიგრძენი, რომ იმ ბაზრის მთელი სამათხოვრო ელიტის მზერის ეპიცენტრში აღმოვჩნდი და სულ რაღაც 20-30 მეტრის გავლაში უზარმაზარი ამალა შევიძინე... ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ მე უცხოელი ვარ, რომ ფულის გამეტება არ მიჭირს, რომ ქუჩაში გასვლამდე უნდა მოასწრონ ჩემი "შეხუჭუჭება" და ა.შ. აი, მაშინ კი აღარ გამიკიცხავს ის ჩემი არჩევანი, რომ ახალგაზრდობა სპარსული ენის შესწავლაში გავატარე, და მოვუბრუნდი იმ ჩემს "შემხუჭუჭებლებს", რომლებიც ნაძვის ხის სათამაშოებივით ეკიდნენ ჩემი ტანსაცმლის კალთა-კულთებზე და ხაიამის ეს რობაი ვუთხარი (სპარსულად, რა თქმა უნდა!), რომელიც შემდეგ თავადვე ვთარგმნე:

"ფულს და ქონებას, რაც არსებობს ამქვეყანაზე,

თან ვერ წაიღებ და ნუ დარდობ, ძმაო, ამაზე,

ლამაზ სიცოცხლეს ნუ გაფლანგავ ოქროზე ფიქრით,

იმხიარულე და ცხოვრება გაილამაზე!"

არ ვიცი, ხაიამის სიტყვებმა მიშველეს, თუ იმან, რომ მეც იმ რუსი ბავშვის "ბიდზიებოს" მსგავს აქცენტით ვმეტყველებდი სპარსულად, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ეს მთელი ეს "სათამაშოები" უმალ ჩამოწყდნენ მე, მოპოეტო "ნაძვის ხეს" და ისე გამეცალნენ, რომ, მგონი, თავად მე მიმიჩნიეს სიბრალულის ღირსად, რადგან იმ გაგანია ვაჭრობის ატმოსფეროში პოეზია გამახსენდა...

ეს ამხელა მოგონება კი სწორედ თბილისელ მათხოვარ ბავშვთა ამ მესამე კატეგორიის დასახასიათებლად დამჭირდა, რომლის წარმომადგენლებიც თავისი თეირანელი კოლეგების მსგავსად ფიზიკური ილეთების გამოყენებასაც არ ერიდებიან და მანამდე "გესათამაშოებიან", სანამ ხელს არ "გაუთეთრებ"...

ერთი სიტყვით, უნდა დავასკვნათ:

დღევანდელი სამათხოვრო "ფანტაზია" სულ ახალ-ახალ გზებს ეძიებს იმ "ტაძრამდე" მისასვლელად, სადაც გასტრონომიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იქნება გარანტირებული და დარწმუნებული ვარ, რომ ამ თოჯინების "ყარაბას-ბარაბასები" კვლავაც გამოძებნიან უფრო დახვეწილ, ევროპა-ამერიკიდან ინვესტირებულ მეთოდებს საკუთარი, არადაბეგვრადი ბიზნესის სრულყოფისათვის.

მე კი... მე რა ვქნა, თუ მეტროპოლიტენით მიხდება მგზავრობა და ეს (ბემურაზი!) სმენა სატელიტური ანტენასავით მაქვს მომართული ყოველი "დამაინტრიგებელი" ფრაზის დასაფიქსირებლად.

ალექსანდრე ელერდაშვილი

P.S. მაინც მგონია, რომ არ იყო საჭირო ამ თემის სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ იძულებული ვარ ეს მოვიმოქმედო თქვენი თვალთახედვის არეში მოქცეული საგაზეთო ფართის შესავსებად...

რაღაც ხომ უნდა ეწეროს ამ "გაზეთში", გარდა კროსვორდებისა?!




**ლოგიკური თამაში "21".**

პრინციპი ასეთია: ჩვენ გთავაზობთ 64 სიტყვას, თქვენ უნდა ამოიცნოთ მათში "ჩაპროგრამირებული" 21 ცნება.

როგორ?

აი, ასე: 64 გვაძლევს 16-ს, 16 — 4-ს და 4 — ერთს, სულ 21-ია (16+4+1)

მარცხნივ თქვენ ხედავთ ოთხ-ოთხ სიტყვიან ჯგუფს, ყოველი მათგანი აზრობრივად (ლოგიკურად) ერთი საერთო სიტყვითაა გაერთიანებული, ჰოდა, ჯგუფები კვლავაც გაერთიანდებიან საერთო აზრით და წარმოშობენ მესამე ჯგუფს (4 ახალ სიტყვას), რაც საბოლოოდ, ფინალში ერთი, ყველასათვის ნაცნობი კაცის წარმოჩენით დაგვირგვინდება.

ნიმუში: მიმინო — აბანო — "დინამო" — მთაწმინდა (თბილისი).

"აჭარა" — მეტრო — ფოთოლი — კალათბურთი (მზეჭაბუკი).




გთავაზობთ ორ მაგალითს სამნიშნა რიცხვების გამრავლებაზე; წერტილების ნაცვლად უნდა აღადგინოთ ციფრები, სულ ეს არის!




... არა, ბატონებო, ჩვენ სულაც არ გვსურს თქვენი შეწუხება, თუ გაგაწვალათ ამ კროსვორდმა, გადადეთ გვერდზე (ვითომც არა ყოფილა!) და ეშმაკი ხუანის საზოგადოებრივ-ინტელექტუალური მოღვაწეობის პერიპეტიებს დაელოდეთ...

ჩვენ კი იმის თქმა გვსურდა, რომ ყოველ ამოსაცნობ ერთეულს ორი კითხვა აქვს დასმული, რომელთაგან ერთი სწორია, მეორე კი მცდარი და გზაკვალამრევი. ერთი სიტყვით, თავად უნდა მიხვდეთ ყველაფერს.

**თარაზულად:** 7. ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამხედრო ფუნქციით აღჭურვილი პირი; ბ) რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. 8. ა) ალ. ტოლსტოის ცნობილი ზღაპრის მთავარი პერსონაჟი; ბ) ქალაქი ესპანეთში. 10. ა) იგივეა, რაც კოცნა; ბ) მძაფრსუნიანი უფერო გაზი. 11. ა) ორ ვერტიკალურ ხაზს შორის მოქცეული სვეტი; ბ) "თოვლის დედოფლის" პერსონაჟი გოგონა. 12. ა) ყოფილი კუიბიშევი; ბ) პატიმრის "ბინა". 13. ა) გამოუცდელი კაცი; ბ) შეიარაღებული ძალები. 14. ა) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფეხბურთში; ბ) სსრკ 1973 წ. ჩემპიონი (ასევე) ფეხბურთში. 15. ა) საკატლეტოდ გატარებული ხორცი; ბ) ინდოელი ველო-მეეტლე. 18. ა) ხმის გამაძლიერებელი; ბ) რიგით 21-ე ქიმიური ელემენტი. 20. ა) რიგით მე-14 ქიმიური ელემენტი; ბ) (ბატონი) ლალიძე. 22. ა) იგივეა, რაც ოსი (როგორც მათ ჰგონიათ); ბ) სწრაფი საჭადრაკო პარტია. 23. ა) მუსიკალურ-დრამატული სპექტაკლი; ბ) ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. 28. ა) მოგზაური და მომლოცველი; ბ) მარადონას სამშობლო (იგი იტალიელი წარმოშობის გახლავთ). 29. ა) "სამი გასროლა ონში" — რუსულად (ეს კითხვა ნასესხებია გაზ. "ალიადან"); ბ) რა ჰქვია ავთანდილის მსახურს? 31. ა) ვარდობისთვე; ბ) შეძენილი იმუნოდეფიციტი. 33. ა) პერიოდული დაავადება; ბ) ოქროს მაძიებელი ცრუმეცნიერება. 34. ა) როსტომის შვილი, ალექსის მამა, ილიას მეგობარი; ბ) გიორგის შვილი, ავთანდილის ძმა, სამშობლოს ზვარაკი. 38. ა) რა უნდა ყოფილიყო რეჟისორ სანდროს სამშობლო? ბ) (ბატონი) ოძელაშვილი; 39. ა) უნგრული მუსიკის "ფოთოლი"; ბ) კითხვებზე აგებული ფსიქო-ინტელექტუალური დონის განმსაზღვრელი ანკეტა. 40. ა) ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; ბ) როგორი ქარი ქრის ე.წ. "სკვოზნიაკ"-ში? 41. ტექნიკური დარგის სპეციალისტი; ბ) ცალკეული პირი. 42. ა) უსიტყვო როლების შემსრულებელი; ბ) იგივეა, რაც მატყუარა.

(ხომ არ გიჭირთ?!)

**შვეულად:** 1. ა) რ. ჩხიკვაძის პერსონაჟი "კავკასიურ ცარცის წრეში"; ბ) რა გასრულდაო, რას გვამცნობს "ვეფხისტყაოსნის" 1658-ე სტროფი? (ნ. ნათაძის გამოცემა); 2. ა) ბიბლიური წინასწარმეტყველი; ბ) ციმბირის მთიანი მხარე. 3. ა) ჩეხოვის "თოლიას" პერსონაჟი; ბ) რა აკლია კახიგას? 4. ა) თბილისის ერთ-ერთი რაიონი; ბ) ქართველი ესტრადის მომღერალი, ბატონი ვახტანგი. 5. ა) პლანეტა; ბ) ტრანსპორტის მარშრუტი ერთი მიმართულებით. 6. ა) მსოფლიო ლიტ-ის ცნობილი დეტექტივი; ბ) ქართველი "ზოლუშკა". 7. ა) აგურების დაწყობის მშენებელი-სპეციალისტი; ბ) იგივეა, რაც ვაჭრობა. 9. ა) ქაღალდზე ან მუყაოზე გამოყვანილი ნიმუში; ბ) თევზი. 16. ა) სამხედრო პირი; ბ) პირამიდების "დარაჯი". 17. ა) ქალაქი ინდოეთში; ბ) იგივეა, რაც კამათი. 19. ა) სარკინიგზო ატრიბუტი; ბ) ესპანეთის საფეხბურთო გუნდი. 21. ა) რქოსანი პირუტყვი; ბ) სიგრძის საზომი ინგლისურ სისტემაში. 24. ა) ვარსქენის თანამდებობა; ბ) რა გვარია დიდოსტატი? 25. ა) ორ წერტილს შორის მოძრავი სხეულის მანძილი; ბ) ხრიკების და ოინების მომწყობი; 26. ა) უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა; ბ) მხატვარი, რომელიც ზღვას ხატავს. 27. ა) პოპულარული შოკოლადი მიწის თხილით; ბ) ადამიანის შემსწავლელი მეცნიერება. 30. ა) სატელეფონო ხაზით გადაცემული ტექსტი; ბ) პოპულარული საშარვლე ქსოვილი. 32. ა) სადემონსტრაციო დაფა ან დანადგარი; ბ) ავტომობილების სადგომი. 35. ა) გველის სახეობა; ბ) იგივეა, რაც აშარი და ავყია (ქალურ ვარიანტში). 36. ა) ძვირფასი ქვა; ბ) იგივეა, რაც ნუხილი და ვარამი. 37. ა) იგივეა, რაც ამბოხი; ბ) გერმანელი ფილოსოფოსი, იმანუელი (1724-1804).

("სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების" — აფსუს, რა პოეტები გვყავდა საბაზრო ეკონომიკის დადგომამდე?!



**თარგმნეთ რუსულ ენაზე ეს სიტყვები და შეავსეთ კროსვორდი:**

**თარაზულად:** 1. განცდა; 7. კალამი; 10. აჩრდილი, მოჩვენება; 12. გადახრა; 13. დამუნჯება; 14. კვნესა; 15. ყანა; 16. (ჩაგვრის) უღელი; 17. მეზღვაური ბიჭი; 19. სალამი; 21. სარკე; 22. სიდინჯე, სიდარბაისლე; 23. სიჩუმე; 24. სარწყავი; 26. სიზმრები; 27. (ცხენების) რემა; 30. ყველანაირი; 31. ხის ტახტი; 33. სარეცელი; 34. ტირიფები; 35. ძაფები; 36. ბლანტი, მწებვარე (მაგ. ტალახი); 37. ნაკაწრი.

**შვეულად:** 1. ხუროობა, დურგლობა; 2. ნიჟარა; 3. ძუნწი; 4. ტევადი; 5. სახელობითი; 6. კუნძი; 7. ქელეხი; 8. რიტუალური; 9. ღერძი; 11. დოყლაპია; 17. მომთაბარეთა კარავი; 18. ჩაქრობა; 19. მეხრე; 20. საპალნე; 25. მოლარე; 26. ჭრიალი; 28. რა აქვთ საერთო ელცინს და მკითხავ თუთიყუშს?; 29. სვავი; 30. ბრალი; 32. ბზიკი.



## სერია "რ"

1. ძველი და სამუზეუმო ნივთი; 2. ადამიანთა ჯგუფი, შესაძლოა საბრძოლოდაც გამზადებული; 3. (ჩვენს კროსვორდებში ხშირად გამოყენებული) არეულობის სინონიმი; 4. ფრანგი კომპოზიტორი მორისი (1875-1937); 5. ერთ-ერთი კითხვითი სიტყვა ქართული ენისა; 6. წარსულის ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი (N11); 7. საგაზეთო "წარმოების" აუცილებელი დაჯგუფება; 8. ლისტისა "უნგრულია", გერშვინისა კი "ცისფერი" (კითხვის ავტორი ლივადიე ტიმი "მეგაპოლისიდან"); 9. ერთ-ერთი სპორტული ასპარეზობის მონაკვეთი; 10. ტრადიციული ლექსის აუცილებელი ატრიბუტი; 11. მონტეგების "ურჩი" ნაშიერი (შექსპირთან); 12. წეს-ჩვეულებათა აღსრულების პროცესი; 13. ცნობილი ფილმი მიქელე პლაჩიდოს მონაწილეობით; 14. ვის აძალებდნენ მ. თბილელისა და ს. თაყაიშვილის პერსონაჟები (ფილმში) კონსერვატორიაში სწავლას (მიც. ბრ.); 15. 1937 წ. რეპრესირებული კომუნისტური ლიდერი; 16. ავტორი ნახატისა "ბურლაკები ვოლგაზე"; 17. (ბატონი) ერისთავი, ქართველი პოეტი; 18. იტალიის კურორტი (როგორც ამბობენ), ფედერიკო ფელინის სამშობლო; 19. 1937 წლის კომუნისტურ-მასობრივი "ღონისძიება"; 20. ფრანგული კინოს "შავ ფეხსაცმლიანი ქერა მამაკაცი"; 21. ბერძნულიდან შემოსული სახელი, რომელიც ნიშნავს "მტკიცეს, მაგარს"; 22. რუსი მხატვარი, რომელიც ინდოეთში მოღვაწეობდა; 23. (ბატონი) წერეთელი, აკაკის მამა; 24. კვაჭი კვაჭანტირაძის ერთ-ერთი სატრფო (ებრაელებში გავრცელებული ქალის სახელი); 25. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა; 26. ქიმიური ელემენტი; 27. წარჩინებულობის ატრიბუტი ზოგადად; 28. "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი, ჯერეთ ყმაწვილი ქაჯი (თუნდაც ქაჯუნია); 29. 70-იანი წწ. კიევის "დინამოელი" მცველი; 30. ჩრდ. უკრაინის საოლქო ცენტრი; 31. რა აკლია აკუტაგავას? 32. რთული სიტყვა, რომელიც შედგება სიტყვების — "ლითონი" და "მაგისტრალი" — სინონიმებისგან.



## სერია "ს"

1. ქართული შავი ღვინო; 2. (მართალია, არც ესაა ქართული, მაგრამ) "ვედროს" ქართული სინონიმი; 3. დასაწყისი; 4. ქრისტეანობის უმთავრესი ღვთაება; 5. გეომეტრიული სხეული; 6. გერმანელ ფაშისტთა ემბლემა; 7. როგორი ჯიხურების სიმრავლეა თბილისში? (Exchange და ა.შ.); 8. პირუტყვის საკვები; 9. ეშმაკი (ხუანი არ გეგონოთ); 10. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 11. გარდაბანში მდებარე ელექტრო ცენტრი ანუ მისი აბრევიატურა; 12. ლიტვის საკალათბურთო გუნდი; 13. (მართალია, გასულ ნომერში გვქონდა, მაგრამ მაინც...) "პიპინიას ასი ძაღლი" (რუსულთან კავშირში); 14. იტალიის ქალაქი, სადაც დაბრუნებას ეხვეწებიან სატრფოს მთელი მსოფლიოს ტენორები; 15. სიტყვა ლილიპუტის გამომგონებელი, ინგლისელი მწერალი; 16. (ქალბატონი) ჭიაურელი; 17. ჰიგიენური საშუალება; 18. ის, რის აშენებასაც უნდა პირველი, მეორე და მესამე ხმა; 19. "თბილისის "დინამოს" მეკარე 70-იანი წლების დასაწყისში; 20. აწ ქართველთაგან დაცლილი ქართული ქალაქი; 21. მსოფლიო ისტორიის ყველაზე ცნობილი გლადიატორი; 22. გუდიანი მუს. ინსტრუმენტი; 23. თანამედროვეობის უნიჭიერესი ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 24. რა ეკარგება ქალს მას შემდეგ, რაც ხდება ცოლი; 25. პერიოდული გამოცემების ჟანრი; 26. რა აკლია თბილისს ზამთარში; 27. სხეულის ჩრდილოვან-გარეგნული მონახაზი; 28. რა გახდა ფასიანი უფასოობის ეპოქის დონის შენარჩუნებით; 29. ცნობილი იაპონური ფირმა; 30. "აივენჰოს" ავტორი; 31. სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების ხანგრძლივი თანაცხოვრება (ბიოლოგია!); 32. ჩვილი ბავშვის საკვები.



## სერია "ტ"

1. შტირლიცი — ცხოვრებაში; 2. აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 3. კასკადიორის "პური არსობისა"; 4. გრძელი დერეფანი; 5. (ბატონი) ბულბა; 6. საეკლესიო წესების კრებული; 7. რუსული ესტრადის ვარსკვლავი, ბოგდანი; 8. ავსტრალიის კუნძული; 9. (ბატონი) ტაბიძე; 10. მგელი ვაჟას მოთხრობაში "ამოდის, ნათდება!" 11. კომედიის მფარველი მუზა; 12. როგორია ახალი ფული (ბანკნოტა)? 13. რა ერქვა შერეკილი მარგალიტას ქმარს? 14. ერთგვაროვანი, შაბლონური, მრავალჯერ ნაცად-ნახმარი (სხვა როგორღა მიგანიშნოთ, ჰა?!) 15. რაიმე მასალაზე პირუკულმა ამობურცული გამოსახულება; 16. გარდამავალი მითოლოგიური კლასი ღმერთსა და ადამიანს შორის; 17. დაცემული, ვაკე ადგილი; 18. ბალტიისპირეთის ქვეყნის დედაქალაქი; 19. (ძირითადად) ვაზით გადახურული საჩრდილობელი; 20. 60-იანი წწ. პოპულარული ცეკვა; 21. ევროპული სამიკიტნო; 22. კომუნისტობისდროინდელი საკვების მისაღები ბარათი; 23. გლოვა; 24. სულხან-საბას სოფელი; 25. ძველბერძნული ნიჩბიანი სამხედრო ხომალდი; 26. ცნობილი რუსული გაზეთი; 27. რთული სიტყვა, სიტყვების — "სხეული" და "ლერწამი" — სინონიმებით შედგენილი; 28. მუსიკალური მეტრული ერთეული; 29. რუსეთის სახელაღდგენილი ქალაქი; 30. რა სჭირდება ზოგჯერ გადამეტებულად მთვრალს? 31. ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულება; 32. ერთხელ, კომუნისტობისას ამერიკაში ერთი ზანგი ქალი, ანჯელა დევისი დააპატიმრეს და ატყდა ვაი-უშველებელი "წითელმანდატოსნებს" შორის, რაშიც ჩვენი მიხოც ჩაერია და მან პროტესტის ნიშნად განაცხადა: სანამ ანჯელას არ გაათავისუფლებენ, სხეულის ერთ ნაწილს ჩემი (სასოფლო-სამეურნეო) მანქანის "სიდენიაზე" არ დავდებო! რომელი "მანქანა" იგულისხმა მიხომ? (ბოდიშს ვიხდით ამხელა კითხვისა გამო!)



## სერია "უ"

1. ის, რის არქონასაც სწამებდნენ კომუნისტები (დამპალი) კაპიტალიზმის სამყაროს; 2. როგორ საზოგადოებად მიაჩნდათ (იმავე) კომუნისტებს (იგივე) კაპიტალისტები; 3. სხვაგვარად რა ჰქვია განუხორციელებელ (უარაფრო) ოცნებას? 4. ქართული ხალხური სიმღერა; 5. ჯეიმზ ჯოისის რომანი; 6. როგორი იყო სოსოიას სატრფო ხატია? 7. რა არის მინიმალური? 8. ძალიან ძნელი, ანუ... 9. ტყის სახეობა; 10. როგორი ქალი იყო გულანშაროელი ფატმანი; 11. ვინ იყო ფატმანის ქმარი? 12. სადაური იყო მიხაი ზიჩი? 13. სხვათა შორის, ფატმანმა ავთანდილს დახმარების "ეს" სახეობა გაუწია; 14. (მაგრამ) ის ფატმანი მაინც "ასეთი" ქალი იყო თავის ქმართან მიმართებაში; 15. საცხოვრებლის არმქონე პირი; 16. მოუხერხებელი, უგერგილო, უშნო... (მიხვდით?) 17. სოფელი მესტიის რ-ნში; 18. რა ერქვა "ოლიმპოს" ქართულად? (გაიხსენეთ "თორნიკე ერისთავი"); 19. ბრეჟნევისდროინდელი სსრკ თავდაცვის მინისტრი; 20. კარის დასაკეტი საშუალება; 21. როგორია სამყარო (და, მგონი, "ველური გულიც"); 22. რა მისწერა ნესტანმა ტარიელს? 23. არც ქალია, არც კაცი; 24. როგორი იყო ხვარაზმშას ვაჟი ნესტანთან მიმართებაში (ტარიელის აზრით?); 25. სინდისის "საზომი ერთეული" ძველ საქართველოში, ანუ მის დასავლეთ ნაწილში; 26. უვიცი, უსწავლელი, უმეცარი... (ქართველ ბიზნესმენთა — ზოგიერთის გამოკლებით — ტიპი); 27. როგორ ცას "გვამადლიდნენ" კომუნისტები? 28. იგივეა, რაც დაუსრულებელ-ამოუწურავი; 29. სუბტროპიკული მცენარე, ისხამს მოყვითალო-მოყავისფრო, კურკიან ნაყოფს; 30. "უკიდურესის" შესაბამისი უცხოური წინსართი; 31. სახმარად გამოუყენებელი; 32. ის, ვინც არავისთვის არაფერს ინანებს.



მოცემულ სავარჯიშოში არეულია ასოთა ·ნწყობა და მათში საჭირო თანამიმდევრობის მოძიებით შეძლებთ კროსვორდის გამართვას. გაგიმხელთ მხოლოდ იმას, რომ ერთ-ერთ ვერტიკალზე უნდა ამოიკითხოთ ბატონი ლუკას, კ.ფ. "ნერგების" მთავარი გმირის, გვარი.










(კიდევ ერთ) მოცემულ სავარჯიშოში სამ ერთნაირ ჩარჩოში უნდა განალაგოთ 18 (ანბანზე გაწყობილი) სიტყვა და იმისათვის, რომ ამ საქმის სირთულემ ხალისი არ გაგინელოთ ჩვენი "ფანტაზიის" მიმართ, ამოცანას გაგიადვილებთ ამ სიტყვების თარაზული და შვეული განლაგების დაყოფით;

თარაზული: ბალვაში, გრანიტი, იარვეტი, კარდიფი, კრემონა, მოცხარი, პლანერი, შტატივი, ციკლონი.

შვეული: ეშაფოტი, კრეტინი, მხევალი, ნანატრი, ონავარი, სმეტანა , ტროტილი, ცვედანი, ჰორაციო.

### N19-ის პასუხები

**(სერია "ნ"): 1. ნიუაფოოუ; 2. ნოინი; 3. ნიამეი; 4. ნერონი; 5. ნათია; 6. ნიკელტაუ; 7. ნიკოფსია; 8. ნერვაცია; 9. ნილოსი; 10. ნაინა; 11. ნიკეა; 12. ნეილონი; 13. ნიახური; 14. ნოვაცია; 15. ნორბიუ; 16. ნონკაი; 17. ნახირი; 18. ნაგაზი; 19. ნორვეგია; 20. ნინელი; 21. ნიკოტინი; 22. ნოდარი; 23. ნიანია; 24. ნიკორა; 25. ნიბლია; 26. ნალია; 27. ნიგერია; 28. ნაკლი; 29. ნეხაო; 30. ნანტი; 31. ნინიგორი; 32. ნიკულინი.**

**(სერია "ო"): 1. ომამდელი; 2. ოხერი; 3. ონკანი; 4. ონიანი; 5. ოლარი; 6. ოგონიოკი; 7. ომახიანი; 8. ონკოლოგი; 9.ორგანო; 10. ომარი; 11. ორანი; 12. ონეგინი; 13. ოპერეტა; 14. ონავარი; 15. ოლიმპო; 16. ონოპკო; 17. ოკრიბა; 18. ოლივიე; 19. ორკესტრი; 20. ოზგანი; 21. ოფშკვითი; 22. ორტოტა; 23. ორჭოფი; 24. ოცნება; 25. ოთურმა; 26. ორგია; 27. ოცდაათი; 28. ოტერო; 29. ოსერი; 30. ოტავა; 31. ორპირობა; 32. ომფარეთი.**

**(სერია "პ") 1. პიკატორი; 2. პანტა; 3. პრესლი; 4. პრუსტი; 5. პეპია; 6. პიტიუნტი; 7. პითაგორა; 8. პროფესია; 9. პიკასო; 10. პასტა; 11. პიპია; 12. პლაკატი; 13. პიპინია; 14. პელაგია; 15. პრემია; 16. პესეტა; 17. პრიზმა; 18. პილატე; 19. პრემიერა; 20. პალატა; 21. პროდუქტი; 22. პრუსია; 23. პისარო; 24. პასაჟი; 25. პეპელა; 26. პრასი; 27. პანაცეა; 28. პადრე; 29. პიერო; 30. პადუა; 31. პრესტიჟი; 32. პლევრიტი.**

**(სერია "ჟ"): 1. ჟვანია; 2. ჟუბერი; 3. ჟორჟეტა; 4. ჟიტომირი; 5. ჟინჟღვლა; 6, ჟინიანი; 7. ჟორდანია; 8. ჟიმბოლია; 9. ჟიჟკა; 10. ჟერიკო; 11. ჟირაფი; 12. ჟიჟია; 13. ჟიეკოვი; 14. ჟორჟი; 15. ჟალია; 16. ჟოლიო; 17. ჟივილი; 18. ჟუჟუნა.**

145 words

# გიგანტი



## შვეულად

1. ქალაქი გერმანიაში; 2. ქართველი კინორეჟისორი... საფრანგეთში; 3. მინერალი; 4. ამინდის შემსწავლელი; 5. დიდი მდინარე ციმბირში; 6. "საჯილდაო ქვა"... მე-20 ს. 90-იანი წწ. ქართულ პრესაში; 7. სივრცის ნაწილი შენობაში; 8. ნაძვის ხის "დასამზადებელი" ნედლეული რ.ესაძის ფილმში; 9. სოფელი ზუგდიდის რ-ნში; 10. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში; 11. ქალაქი რუმინეთში; 13. რიგით მე-7 მენდელეევის სისტემაში; 14. მდინარე ლიტვაში; 15. ფეხით სიარულის "ერთეული"; 16. 1941-45 წლები; 17. ლიმბურგის პროვ. ადმ. ცენტრი ნიდერლანდში; 18. შვეიცარიელი ფერმწერი (თავისით ჩაიწერება); 19. მოქმედი ვულკანი კანარის კუნძულებზე; 20. ატომებისა და მოლეკულების სხვა "რამედ" გადაქცევის პროცესი; 24. იტალიელი ფეხბურთელი (რომის "ლაციოში"); 27. 1912 წელს ჩაძირული გემი ატლანტის ოკეანეში; 30. ჯადოქრობა მოდერნიზებული სიტყვით; 31. (ბატონი) აბაშიძე; 33. მწვავე ინფექციური დაავადება; 37. ერთ-ერთი ქართველი ... დასავლეთიდან; 40. ერთ-ერთი დავითის მონღოლური "ტიტული" მე-13 საუკუნეში; 42. სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა; 43. პუჩინის ოპერა; 46. (ქალბატონი) აბაშიძე; 48. სიშიშვლის აპოლოგეტობა; 49. დიპლომატიური პირის საცხოვრებელი; 51. მთა, თბილისს რომ გადმოჰყურებს; 52. გორა (და უბანი), თბილისს რომ გადმოჰყურებს; 55. ფრანგი კინომსახიობი, მიშელი; 57. განსჯის პროდუქტი; 58. შემოდგომის აზნაური დ.კლდიაშვილის მოთხრობაში; 61. ოპტიკური ხელსაწყოების ნაწილი; 62. "ნისლიანი ალბიონი"; 64. წინხედი; 66. რა სჭირდება პოეტური ქმნილების პწკარედულ თარგმანს? 68. უცხოური თვითმფრინავების სერია; 70. რას ითხოვ(დნ)ენ სკოლაში გაცდენილი გაკვეთილების "საკომპენსაციოდ"? 72. ბუნების პარაზიტი; 73. (თავისით ჩაიწერება); 74. ჩრდილოატლანტელი (მეიარაღებული) "ქალბატონი"; 75. სოფლის მეურნეობის მეცნიერება; 77. მღრღნელი, რომელიც კახეთის და ოსეთის "პოპულარული" ცხოველების "ნაჯვარია"; 78. ის, რის ბაზარიც უილიამ თეკერეიმ აღწერა; 80. ან ალარარსებული თბილისური ტელევიზია; 82. ქრისტიანობაც, ისლამიც, ბუდიზმიც... 83. ინგლისელი ფიზიოლოგი, ერნესტ ჰენრი... 1866-1927 (თუ ვერ გაიხსენეთ, ვითომც არა ყოფილა!); 84. რომ იცოდნენ აზიის ამ ქვეყანაში, თუ როგორი გამოსადეგია ის ქართული კროსვორდისათვის, ალბათ, "ფანტაზიის" რედაქციას "ნიშნით" (ან "ტიოოტათი") დააჯილდოვებდნენ; 87. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი; 90. გურული ყურძენი; 91. ნახევარკუნძული მექსიკის ყურესა და კარიბის ზღვას შორის; 93. (ბატონი) ბაგრატიონი მე-20 საუკუნეში; 94. სამკერვალო სახელოსნო; 98. "ქალბატონი" — პოლონეთში; 99. რაიმე რწმენის ან სწავლების თავგამოდებული მიმდევარი; 101. იგივეა, რაც ზნეობა; 102. არეულობა; 104. ისტორიული ძეგლი სამხრეთ საქართველოში; 106. "ვეფხისტყაოსნის" ქაჯი პერსონაჟი; 108. უკიდურესის მაჩვენებელი წინსართი; 110. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისელთათვის; 111. "სწრაფის" მიმანიშნებელი სიტყვა; 113. რიგით 53-ე მენდელეევის სისტემაში; 115. ცხვირის ზურგის ამოზნექილი ნაწილი; 117. ინდოელი (ზოგადად), რომლის შესახებ ზღაპრებს ყვებიან; 118. თურქეთის შავიზღვისპირა კურორტი; 122. რა იყო ადრე სტუ? 123. როგორ ინყებდა თვლას ჰიტლერი (...და აინშტაინიც კი)?

## თარაზულად:

სრული კრახი; 6. "ტიტული", რითაც სსრკ-ს მოსახლეობის "პრივილეგირებული" ნაწილი იყო შემკული; 12. ელექტროენერგიის ერთ-ერთი საზომი ხელსაწყო; 21. საჭადრაკო სვლა; 22. დავით ყიფიანის "სიყვარული" (მარადონასიც); 23. ჩაგვრა-ტირანიის სახეობა; 25. "პრივილეგირებული" ლიქიორი; 26. რა გვახსენდება (პირველად) შუქის ჩაქრობისას? 27. მდინარე, "ვეფხვისებრთა" ოჯახიდან; 28. რაჭის ერთ-ერთი "საოცრება"; 29. წონის სახესხვაობა; 30. "რა დროშა მოგვცა ლენინმა! — გრძელი, .......... და წითელი" (ფოლკლორში); 32. მე-20 ს. ერთ-ერთი გენიოსი (ან ერთადერთი?!); 34. ვაშლის ღვინო (საფრანგეთში); 35. სიმღერა და ნაირ-ნაირი "ეფექტები" (ტელევიზორში); 36. საჰაერო საქმის სპეციალისტი (სსრკ-ში); 38. პირველი ლედი (ედპ-ში); 39. წყვილის როკვა (არგენტინაში); 41. იგივეა, რაც მისაბაძი; 42. ის, რის მსგავსი მწვანეც იყო კალია (რუს. სიმღერაში); 44. ერთ-ერთი მიკროავტობუსი (აბრევიატურა, სსრკ-ში); 45. ცნობილი პერსონაჟი "კაპიტან გრანტის შვილებში"; 47. ქართული მისამღერი — ხალისიან სიმღერაში; 50. ის, რაშიც ტრადიციულად საყვარლებს სვამენ; 51. მთიანი მხარე რუსეთში; 53. თოფის ნაწილი; 54. იტალიური ავტომობილი; 56. ქართველი დირიჟორი და მევიოლინე (ახლა არის ემიგრაციაში); 58. ქალაქი თურქეთში; 59. პოეტური გამოცანა; 60. სპეციალური ტერმინი ტოტალიზატორში; 63. კარცერის სხვა სახელი (სსრკ-ს პირობებში); 65. ავსტრიელი მწერალი, ბატონი სტეფანი; 67. სსრკ-ს ყველაზე დიდი სატირიკოსი; 69. რელიგიური დამსჯელი "კამპანია" შუა სს. ევროპაში; 71. სიგრძის ძველებური საზომი; 72. "ბიჭი" — სასტუმროში; 73. ისტორიული ოლქი მცირე აზიის დასავლეთში; 76. ფოტოაპარატების სერია სსრკ-ში; 77. რაიცენტრი სამხრ. საქართველოში; 79. "სიტყვის სიყვარული" მეცნიერებაში; 81. მაგარი ქანი; 83. ქველმოქმედ(-სასწაულმოქმედი) გერმანული ფირმა... საქართველოში; 85. ქრთამთან "დაკავშირებული" ზმნა; 86. ამ სიტყვის ნაცვლად ნეტავ რა იხმარებოდა ადრე, საქართველოში?! (ნუ ნაღვლობთ, თავისით ჩაიწერება); 88. დაახლოებით იგივეა, რაც არარეალურობა (უპირატესად ხელოვნებაში); 89. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი... ოპერაში; 92. მეგრელ-უკრაინელი დუმბაძის რომანში; 95. ლიდერი მუშკეტრებში; 96. რიგით 77-ე მენდელეევის სისტემაში; 97. "მეგაპოლისი"... რაჭაში; 98. თავმოკვეთილი... ჭიაურელის ფილმში; 100. რიტმული მოძრაობა სივრცეში; 102. "დიდი მდინარე" აშშ-სა და მექსიკაში (კროსვორდში დეფისი არ სჭირდება); 103. "საინვესტიციო ბანკი"... ზოგიერთ ხელმოკლე ოჯახში; 105. სანყალოსნო არტერია... გარე კახეთში; 107. ახალგაზრდული მოძრაობა თანამედროვე მსოფლიოში; 109. უნივერსალური ადვოკატი... მექსიკა-საქართველოში; 111. ბატონი — შუა აზიაში; 112. ნიადაგის დაშლა; 114. უფერო გაზი... ქიმიურ შენაერთში; 116. საყოფაცხოვრებო "როიალი"; 119. ერთ-ერთი ასო ბერძნულ ანბანში; 120. საკომუნიკაციო საშუალება; 121. ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა; 122. გეომეტრიული სხეულების სივრცითი გამოსახვა სიბრტყეზე; 124. "უპირველესი" პოემა კაცობრიობის ისტორიაში; 125. "სხაპა"-ს ფუნქციონალური ნაწილი; 126. ექსკურსიამძღოლი; 127. სამჯერ მატყუარა "დედა ენაში"; 128. ქალაქი აშშ-ში; 129. ნატო ვაჩნაძე... "აკაკის აკვანში"; 130. 437,5 გრამი ინგლისში.

იყო ორი მეგობარი ფეხბურთელი...

ერთხელ ერთი მათგანი ძლიერ ავად გახდა და ის-ის იყო უნდა მომკვდარიყო, რომ მასთან მეორე (მეგობარი) ფეხბურთელი მივიდა და სთხოვა:

აი, შენ სამოთხეში მიდიხარ; ეგებ იქიდან როგორმე შემატყობინო, თამაშობენ თუ არა სამოთხეში ფეხბურთს და როგორი პოპულარობით სარგებლობს იქ ეს თამაში.

მეგობარი, როგორც მეგობრობას სჩვევია, დაპირდა მეგობარს, რომ ყველაფერს შეუსრულებდა და წავიდა... საიქიოში.

მეგობრის დასაფლავებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ცოცხალმა მეგობარმა სიზმარში მკვდარი მეგობარი ნახა:

— იცი, სიმონ, სამოთხეში ყველა მეორე კაცი ფეხბურთს თამაშობს — ამცნო მკვდარმა ცოცხალს.

— მართლა?!

— მე აქ უკვე სამოთხის ნაკრებში შემიყვანეს...

— მართლა?!

— მაგრამ უშენოდ თამაში მიჭირს, პასს არავინ მაძლევს...

— მართლა?!

— მწვრთნელს მოველაპარაკე და, ჩემი რეკომენდაციით, შენც შეგიყვანეს ნაკრებში...

— მერე?! — აღელდა ცოცხალი.

— შაბათს თამაში გვაქვს და მოემზადე!

* * *

ერთ თბილისელს ცოლი უკვდებოდა და სიკვდილის წინ ქმარს სთხოვა:

-გოგიაჯან, იქნება როგორმე "პამეტნიკი" დამადგა!

ქმარი კი შეპირდა — "დაგადგამო", — მაგრამ საამისოდ ფული დაენანა და პრობლემა ასე გადაწყვიტა: ცოლი ნახევრად ჩამარხა, თავი და მხრები მიწის ზემოთ დაუტოვა და კმაყოფილმა გაიფიქრა:

— თან იაფია, თანაც გავს, რაღა!

* * *

მიხომ სიკვდილის წინ დაუბარა მაროს:

— მარო, იცოდე, თუ მიღალატე, მე საფლავში გადავბრუნდებიო...

გავიდა ხანი და თავად მაროსაც ეწვია მიქელ-გაბრიელი საიქიოში წასაყვანად. მარომ ერთი რამლა სთხოვა სიკვდილის ანგელოზს:

— იქნება იმქვეყნად მიხო მამაძებნინოო, პა?!

... და მიქელ-გაბრიელიც შეპირდა მიხოს მოძებნას.

დიდხანს ეძებეს საიქიოს დავთრებში მიხო, თავისი გვარ-სახელით, მაგრამ ვერ-კი მიაგნეს. ბოლოს ჰკითხეს მაროს:

— იქნება რამე დაგიბარაო სიკვდილის წინ?

და მარომაც უამბო მიხოს დანაბარები.

— ასე გეთქვაო, შე ქალო — დამშვიდდნენ საიქიოს უსტაბაშები და გადაშალეს მეტსახელების დავთარი სათაურით — "ვენტილატორები".

### N19-ის პასუხები

(კროსგიგანტი): 1. გიორგაძე, 2. აუდიენცია, 3. ფრანტი, 4. ისტი, 5. დიპლომი, 6. აქაური, 7. ვირი, 8. იაუნდე, 9. სენატი, 10. ხაიკუ, 11. დილოგია,-12. ქორდა, 13. გაფრინდაშვილი, 14. აკუმულატორი, 15. რონალდი, 16. დოქი, 17. იურისდიქცია, 18. ბორგი, 19. არეალი, 20. ოდა, 21. გომბიო, 22. რუბიკონი, 23. ლორი, 24. რინგი, 25. ლუკინო-ბზრიალა, 26. უნაკლო, 27. იესო, 28. გეტო, 29. ბორი, 30. დრამატურგია-მოლა, 31. მიგრაცია, 32. ანიმიზმი, 33. მეგრული, 34. პროგრესი, 35. ბერი-რვაფეხა, 36. გორინი, 37. არბენინი, 38. პლასტი, 39. ეირი, 40. კოქტეილი, 41. გალა-დალინი, 42. მაიორი, 43. ნაიარევი, 44. ავოკადო-მსოფლიო, 45. პერიგეა, 46. იუკონი, 47. იურმალა, 48. ოლარი, 49. პირისპირ, 50. პოლიგრაფია, 51. სეფექალი, 52. პეტერბურგი-ყელატინი, 53. ბრიგადირი, 54. ინჟინერი, 55. კელაპტარი, 56. აკრი, 57. ფეხბედნიერი, 58. კოსტრომა-რუსლანი, 59. არიფი-ინფინიტივი, 60. ლინდგრენი, 61. ოკა, 62. არგენტინა, 63. დასი, 64. ეული, 65. ოვალი-აბაი, 66. ონეგინი, 67. შატობრიანი, 68. ბასა-ტიკი, 69. აკირა, 70. მაია, 71. ედინგი, 72. შიიტი, 73. ლპობა, 74. მიკროფონი, 75. ცვლადი, 76. ჟანრი, 77. აშკარა, 78. ხისტი, 79. მეგა, 80. ინციდენტი, 81. კარნახი, 82. ინდი, 83. ლივრი, 84. კიაზო, 85. ებნისი, 86. ქიშმირი, 87. ერუდიტი, 88. ტლინკები-ჩაკრულო, 89. ლიე, 90. ტაბურეტი, 91. ისტერია-იელოველი, 92. ორგია, 93. ჩია, 94. გიბრალტარი, 95. ტორონტო-ტირილი, 96. ავდრიანი, 97. იარვეტი, 98. უფა, 99. ალიონა, 100. კიი, 101. კლანი, 102. ზიარება, 103. აქატი, 104. რური, 105. კროსნო-ალე, 106. ორიგინალი, 107. ურალი; 108. ძუა, 109. ორხევი-შიო, 110. სტიქია-იხო, 111. ლულა, 112. შტემპელი, 113. ორენბურგი, 114. ლიხი, 115. ეტნა, 116. ალგორითმი, 117. ოლესია.



### მხოლოდ თანხმოვნები

მოცემულ გასართობში მხოლოდ თანხმოვნები წერია და თქვენი ვალია, რომ (არა, არ გეგონოთ, რომ გაძალებთ!)... რომ იპოვოთ ხმოვნები და აღადგინოთ სიტყვები; გაითვალისწინეთ, რომ სიტყვა, შესაძლოა, ხმოვნით (ან ხმოვნებით) დაიწყოს.

იდეა აღებულია "Загадочная газета"-დან (აი, ასეა საჭირო მითითება პატიოსან პრესაში, აჰა!).

ი/ს — „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, N7/1-1811
მთ. რედაქტორი — ვახტანგ ელერდაშვილი